საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №163

თბილისი „10" 09 2018 წ.

„2016-2017 სასწავლო წლის სრული ზოგადი განათლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 06 დეკემბრის N1083 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2018 წლის 29 აგვისტოს N1052652 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2016-2017 სასწავლო წლის სრული ზოგადი განათლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 06 დეკემბრის N1083 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსანი მოსწავლეების სიას (დანართი N1) N2209 გრაფის შემდგომ დაემატოს N2210 და N2211 გრაფები შემდეგი რედაქციით:

2210	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	სსიპ - ქალაქ ახალციხის №6 საჯარო სკოლა	ლუკა	პარუნაშვილი		ოქრო	10
2211	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	სსიპ - ქალაქ ახალციხის №6 საჯარო სკოლა	რუსუდან	მელიქიძე		ოქრო	10

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

მიხეილ ბატიაშვილი